

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 23 თებერვლის №01-06/02
მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

1. „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
აპარატის უფროსი: მუხრან სალამე

2. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: მერიის ზედამხედველობის
სამსახურის უფროსი: სულიკო სურმანიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის განათლების, კულტურის, სპორტის,
ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და
ძველთა დაცვის სამსახურის უფროსი: ეკატერინე ქაჯაია-კომახიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

4. შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-ს 2023 წლის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

მომხსენებელი: შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-ს
დირექტორი: სილოვან ბერიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო
დადგენილება №--
2024 წლის -- თებერვალი
დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ადგენს:

მუხლი 1.

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 29/08/2017; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.134.016221) შეტანილი იქნას ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დებულების II თავის მე-4 მუხლს დაემატოს „მუხლი 4¹“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4¹. აპარატის შემადგენლობა

საკრებულოს პროფესიული საჯარო მოხელეებია:

ა) პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - აპარატის უფროსი;

ბ) პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - აპარატის უფროსის მოადგილე;

გ) მეორადი სტრუქტურული ერთეულს ხელმძღვანელი - განყოფილების უფროს(ებ)ი;

დ) პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტ(ებ)ი.“

2. დადგენილებით დამტკიცებული დებულების II თავის მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფები

1. აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება;

ბ) საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილება;

გ) საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება.“

დადგენილებით დამტკიცებული დებულების III თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი III

აპარატის სტრუქტურულ ქვედანაყოფთა ფუნქციები

მუხლი 6. იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება:

ა) უზრუნველყოფს საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებას, სხდომებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა გაფორმებასა და რედაქტირებას;

ბ) უზრუნველყოფს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებისა და აღსრულების პროცედურულ საკითხთა შესრულებას;

გ) უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტების კოდიფიკაციას და სისტემატიზაციას, აკონტროლებს მათ შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან, საჭიროების შემთხვევაში ამზადებს წინადადებებს მიღებული სამართლებრივი აქტების გაუქმების ან მასში ცვლილების შეტანის შესახებ;

დ) უწევს მეთოდურ დახმარებას საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიებს, საკრებულოს სამუშაო ჯგუფებს და საკრებულოს წევრებს სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებაში;

ე) უზრუნველყოფს სამართლებრივი აქტებისა და გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობის თაობაზე შესაბამისი თანამდებობის პირთა დროულ ინფორმირებას;

ვ) წარმოადგენს და იცავს თვითმმართველი ერთეულის (საკრებულოს) ინტერესებს სასამართლოში;

ზ) უზრუნველყოფს სხდომაზე მიღებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამის პროგრამაში ატვირთვასა და გამოსაქვეყნებლად გადაგზავნას;

თ) საკრებულოს ორგანოების სამუშაო გეგმების საფუძველზე ამზადებს საკრებულოს წლიურ სამუშაო გეგმის პროექტს;

ი) უზრუნველყოფს აპარატის საჯარო მოსამსახურეების საკადრო დოკუმენტების (პირადი საქმეების) აღრიცხვასა და გაფორმებას;

კ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებით, საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 7. საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილება

საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილება:

ა) ტექნიკურად და ორგანიზაციულად უზრუნველყოფს საკრებულოს თავმჯდომარის თათბირებისა და შეხვედრების ჩატარებას;

ბ) ხელს უწყობს და საჭიროების შემთხვევაში ამზადებს საკრებულოს თავმჯდომარის მიერ, სხვადასხვა ინსტანციებში გასაგზავნი წერილობითი მიმართვების პროექტებს;

გ) უზრუნველყოფს ოფიციალური დელეგაციების მიღებას საკრებულოში და საკრებულოს მიერ ოფიციალური დელეგაციების მივლინებას;

დ) ორგანიზაციას უწევს სხდომებზე მოწვეულ პირთა გაფრთხილებას და მოწვევას, ახდენს მათ რეგისტრაციას;

ე) ორგანიზებას უწევს სხდომაზე განსახილველ საკითხთან დაკავშირებული მასალების გამრავლებას და დარიცხვას;

ვ) ორგანიზაციულ დახმარებას უწევს საკრებულოს წევრებს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებაში;

ზ) ახდენს ინიცირების წესით შემოსულ საკითხთა რეგისტრაციას;

თ) ორგანიზებას უწევს საკრებულოს, საკრებულოს კომისიების, საკრებულოს ფრაქციებისა და საკრებულოს სამუშაო ჯგუფების, თანამდებობის პირებისა და საკრებულოს წევრების შეხვედრებს მოსახლეობასთან;

ი) ორგანიზაციულ-ტექნიკურად უზრუნველყოფს საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფების სხდომებში მოქალაქეთა მონაწილეობას, უზრუნველყოფს საკრებულოს თანამდებობის პირებთან და საკრებულოს წევრებთან მოქალაქეთა მიღების ორგანიზებას, შესაბამისი მასალების მომზადებას, დავალებათა აღრიცხვას და კონტროლს მათ შესრულებაზე;

კ) უზრუნველყოფს საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და საკრებულოს სამუშაო ჯგუფების სხდომაზე გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების აღრიცხვას, სხდომის ოქმების წარმოებას, სხდომაზე დამსწრე პირთა რეგისტრაციას, სხდომებზე წესრიგის დაცვის ორგანიზებას, კენჭისყრის პროცედურის ჩატარებას, კენჭისყრისას ხმების დათვლას;

ლ) იღებს, რეგისტრაციაში ატარებს და აღრიცხავს საკრებულოს თავმჯდომარის და სხვა თანამდებობის პირების სახელზე შემოსულ კორესპონდენციას, ახდენს მის ანალიზს და სისტემატიზაციას;

მ) უზრუნველყოფს გასული კორესპონდენციის დაკონვერტებას, გატარებას და ადრესატისათვის ფოსტით გაგზავნას;

ნ) აფორმებს და აღრიცხავს მიღებულ დოკუმენტებზე საკრებულოს თავმჯდომარის და სხვა თანამდებობის პირების დავალებებს და გადასცემს მათ შემსრულებლებს;

ო) აწარმოებს საკრებულოს თანამშრომელთა შეკითხვების (მიმართვების) აღრიცხვას და უზრუნველყოფს კონტროლს პასუხების დროულად მიღებაზე;

პ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებით, საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 7¹. საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება

საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება:

ა) საკრებულოს კომისიებისათვის უფლებამოსილებების განხორციელების ხელშეწყობა;

ბ) საკრებულოს კომისიების სახელზე შემოსულ კორესპონდენციების განხილვა, ანალიზი და ანოტაციის გაკეთება;

გ) თავმჯდომარის მიერ საკრებულოს კომისიებზე გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციების მიღება და საკრებულოს კომისიებისათვის მიწოდება;

დ) საკრებულოს კომისიების საინფორმაციო-ანალიტიკური მასალით უზრუნველყოფა ცალკეულ დარგებში მიმდინარე მუშაობის, შექმნილი მდგომარეობისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ;

ე) ხელს უწყობს და საჭიროების შემთხვევაში ამზადებს საკრებულოს კომისიების მიერ, სხვადასხვა ინსტანციებში გასაგზავნი წერილობითი მიმართვების პროექტებს;

ვ) საკრებულოს კომისიების სხდომების ჩატარების ტექნიკურად და ორგანიზაციულად უზრუნველყოფა;

ზ) საკრებულოს, ბიუროს და საკრებულოს კომისიების მასალების შესწავლა;

თ) საკრებულოში კომისიებში შემოსული საჯარო ინფორმაციის დროულად დამუშავება და მიწოდება, ასევე მისი შესრულების მდგომარეობის კონტროლი;

ი) ორგანიზაციის მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო სტრატეგიების დაგეგმა და განხორციელება;

კ) განყოფილების სამუშაო გეგმებით და ხელმძღვანელი პირების ცალკეული დავალებებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა და კრიზისული სიტუაციების მართვაში მონაწილეობა;

ლ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდის ადმინისტრირება, ინგლისურ ენოვანი გვერდის თარგმნა, საჯარო ინფორმაციის პროაქტიული წესით გამოქვეყნება; საველე ინფორმაციის მოძიება; ფოტომასალის დახარისხება; სხვადასხვა სახის ინფორმაციის დამუშავება და მონაცემთა ბაზების შექმნა/პრეს-დაიჯესტის მომზადება;

მ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების/თანამდებობის პირების საქმიანი შეხვედრების ორგანიზებაში მონაწილეობა, საზოგადოებასა და საკრებულოს კოორდინირებული მუშაობა. მესიჯბოქსის, სატელეფონო და საინფორმაციო ბაზების შექმნა.

ნ) უზრუნველყოფს საკრებულოს საქმიანობის შესახებ ოფიციალური ინფორმაციის გავრცელებას;

ო) უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე განსათავსებელი ინფორმაციის მომზადებას;

პ) უზრუნველყოფს დადგენილი წესით საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნებას;

ჟ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს აპარატის დებულებით, საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს. “

3. დადგენილებით დამტკიცებული დებულების IV თავის მე-8 მუხლის დამატოს „მუხლი 8¹“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8¹. აპარატის უფროსის მოადგილე

1. აპარატის უფროსს აპარატის გამართული ფუნქციონირების მიზნით ყავს ერთი მოადგილე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულოს თავმჯდომარე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. აპარატის უფროსის მოადგილე:

ა) აპარატის უფროსის მოადგილე ზედამხედველობს აპარატის სტრუქტურული ერთეულის, აპარატის საჯარო მოხელეთა სამუშაო გეგმების შესრულებას და სამართლებრივი საკითხებისა და დოკუმენტაციის წარმოების პროცესს;

ბ) აპარატის უფროსს წარუდგენს წინადადებებს საკრებულოს ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში;

გ) უზრუნველყოფს საკრებულოს წევრთა და საკრებულოს აპარატის თანამშრომელთა მატერიალურ-ტექნიკურ მომსახურებას, მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვას, შენახვასა და რაციონალურ გამოყენებას;

დ) აპარატის უფროსის დავალებით კოორდინაციას უწევს სხდომების ორგანიზებასა და საკრებულოს წევრების შეხვედრებს მოსახლეობასთან;

ე) უზრუნველყოფს საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებაზე კონტროლს;

ვ) უზრუნველყოფს საკრებულოს საბიუჯეტო განაცხადის ფორმების მომზადებას;

ზ) ასრულებს საკრებულოს თანამდებობის პირთა ცალკეულ დავალებებს;

თ) აპარატის უფროსის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის მოვალეობას.

3. აპარატის უფროსის მოადგილე ანგარიშვალდებულია საკრებულოს აპარატის უფროსის წინაშე.

4. აპარატის უფროსის მოადგილის საქმიანობაზე სამსახურებრივ ზედამხედველობას ახორციელებს აპარატის უფროსი.“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე**

ამირან ცინცაძე

განმარტებითი ბარათი
„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხაში განხორციელებული ცვლილება, რის საფუძველზეც მიზანშეწონილია „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

კერძოდ, დებულების II თავის მე-4 მუხლს ემატება შემდეგი შინაარსის „მუხლი 4“:

„მუხლი 4¹. აპარატის შემადგენლობა

საკრებულოს პროფესიული საჯარო მოხელეებია:

ა) პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - აპარატის უფროსი;

ბ) პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - აპარატის უფროსის მოადგილე;

გ) მეორადი სტრუქტურული ერთეულს ხელმძღვანელი - განყოფილების უფროს(ებ)ი;

დ) პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტ(ებ)ი.“

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №01-06/19 მორიგ სხდომაზე ახალი რედაქციით დამტკიცდა საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხა, სადაც პროფესიულ საჯარო მოხელეებს დაემატება კიდევ ერთი ვაკანტური თანამდებობა - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - აპარატის უფროსის მოადგილე, ვინაიდან დღეს არსებულ აპარატის დებულების რედაქციაში არ არის ზუსტი დასახელება და თანმიმდევრობა საკრებულოს პროფესიული საჯარო მოხელეებისა, მიზანშეწონილია II თავის მე-4 მუხლს დაემატოს ზემოთ დასახელებული პრიმა მუხლი, რომელიც დააზუსტებს პროფესიული საჯარო მოხელეთა თანმიმდევრობას საკრებულოში, საკრებულოს აპარატის მოადგილის შტატის დამატებასთან ერთად.

ასევე, ცვლილება შედის დებულების II თავის მე-5 მუხლში და ჩამოყალიბდება ახალი რედაქციით, კერძოდ:

„მუხლი 5. აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფები

1. აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება;

ბ) საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილება;

გ) საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება.“

ამ ცვლილებასაც განაპირობებს საშტატო ნუსხაში საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის ვაკანტური განყოფილების დამატება, რომელიც თავისთავში აერთიანებს განყოფილების უფროსის ერთ ვაკატურ თანამდებობას, ოთხი პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობას საკრებულოს

კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში და ასევე, ერთ ვაკანტურ თანამდებობას - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

ვინაიდან დღეს მოქმედი პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საკრებულოს კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში არსებული პოზიცია კონკურსების ჩატარებისა და განყოფილების დაკონპლექტების შემდეგ ამოღებული იქნება საშტატო ნუსხიდან, მიზანშეწონილია მოქმედ რედაქციაში ამ თანამდებობის ამოღება მე-5 მუხლის მე-2 პუნქტიდან და გადატანა აპარატის მეოთხე პრიმა მუხლის „დ“ პუნქტში პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტ(ებ)ი, რომელიც თავისთავში აერთიანებს აპარატის შემადგელობაში არსებულ ყველა პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტს.

აპარატის დებულებაში მე-3 ცვლილება უკავშირდება III თავს, აპარატის სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციებს, რომელშიც წარმოდგენილია საკრებულოს აპარატის განყოფილებები. ვინაიდან აქამდე საკრებულოს აპარატში არსებობდა ორი განყოფილება, აპარატის დებულებაში მიზანშეწონილია დამატებული იქნეს ზემოთ დასახელებული ვაკანტური (დღევანდელი მოცემულობით) განყოფილება და III თავი ჩამოყალიბდება ახალი რედაქციით, რომელშიც საქმისწარმოებისა და საორგანოზაციო განყოფილების ფუნქცია-მოვალეობებიდან ამოღებულ იქნა ფუნქცია-მოვალეობები: „უზრუნველყოფს საკრებულოს წევრთა და საკრებულოს აპარატის თანამშრომელთა მატერიალურ-ტექნიკურ მომსახურებას, მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვას, შენახვასა და რაციონალურ გამოყენებას“ და გადატანილი იქნა საკრებულოს აპარატის უფროსის ფუნქცია-მოვალეობებში. ხოლო შემდეგი ფუნქცია-მოვალეობები: „უზრუნველყოფს საკრებულოს საქმიანობის შესახებ ოფიციალური ინფორმაციის გავრცელებას; უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე განსათავსებელი ინფორმაციის მომზადებას; უზრუნველყოფს დადგენილი წესით საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნებას;“ - გატანილი იქნა საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ფუნქცია-მოვალეობებში.

დებულებაში წარმოდგენილი მე-4 ცვლილებით დამატებული იქნა კიდევ ერთი პრიმა მუხლი, რომელიც ეხება აპარატის უფროსის მოადგილის შტატს და გაიწერა აპარატის უფროსის მოადგილის ფუნქცია-მოვალეობები:

„მუხლი 8¹. აპარატის უფროსის მოადგილე

1. აპარატის უფროსს აპარატის გამართული ფუნქციონირების მიზნით ყავს ერთი მოადგილე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულოს თავმჯდომარე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. აპარატის უფროსის მოადგილე:

ა) აპარატის უფროსის მოადგილე ზედამხედველობს აპარატის სტრუქტურული ერთეულის, აპარატის საჯარო მოხელეთა სამუშაო გეგმების შესრულებას და სამართლებრივი საკითხებისა და დოკუმენტაციის წარმოების პროცესს;

ბ) აპარატის უფროსს წარუდგენს წინადადებებს საკრებულოს ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში;

გ) უზრუნველყოფს საკრებულოს წევრთა და საკრებულოს აპარატის თანამშრომელთა მატერიალურ-ტექნიკურ მომსახურებას, მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვას, შენახვასა და რაციონალურ გამოყენებას;

დ) აპარატის უფროსის დავალებით კოორდინაციას უწევს სხდომების ორგანიზებასა და საკრებულოს წევრების შეხვედრებს მოსახლეობასთან;

ე) უზრუნველყოფს საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებაზე კონტროლს;

ვ) უზრუნველყოფს საკრებულოს საბიუჯეტო განაცხადის ფორმების მომზადებას;

ზ) ასრულებს საკრებულოს თანამდებობის პირთა ცალკეულ დავალებებს;

თ) აპარატის უფროსის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის მოვალეობას.

3. აპარატის უფროსის მოადგილე ანგარიშვალდებულია საკრებულოს აპარატის უფროსის წინაშე.

4. აპარატის უფროსის მოადგილის საქმიანობაზე სამსახურებრივ ზედამხედველობას ახორციელებს აპარატის უფროსი.“

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ნორმატიული აქტის მიღების ძირითადი მიზანია „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში სათანადო ცვლილების განხორციელება, რათა სამართლებრივად კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოვიდეს აღნიშნული დებულება.

გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულებაში შეიტანოს სათანადო ცვლილებები, აქედან გამომდინარე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესაბამისად, განხორციელდა აღნიშნულ დებულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, რომელიც წარმოდგენილია დადგენილების პირველი მუხლით.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი 114 380,00 ლარის გამოყოფას მომდევნო 10 თვის განმავლობაში.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე,

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2024 წლის 31 იანვრის NGOV62400002642 სამართლებრივი კონსულტაცია.

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი მუხრან სალაძე.

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ამირან ცინცაძე.

ზედამხედველობის სამსახურის

ანგარიში

2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

მოგახსენებთ, რომ 2023 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის სამუშაო პერიოდში ჩემს მიერ შესრულებული იქნა თანამდებობრივი ინსტრუქციით, მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით, სამსახურის დებულებითა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტით განსაზღვრული დავალებები. მონაწილეობა მივიღე მშენებარე და რეკონსტრუქციაში მყოფი მცირე არქიტექტურული ფორმების, მშენებლობის პროცესში სამშენებლო სამუშაოების სისტემატიური და დროული ზედამხედველობის მონიტორინგში, სამშენებლო ობიექტების დროულად ექსპლოატაციაში მიღების, სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენასა და სხვადასხვა კომისიების მუშაობაში.

საანგარიშო პერიოდში მშენებლობის ნებართვის მისაღებად შემოსულ განცხადებებზე კანონით განსაზღვრულ ვადაში გაცემული იქნა 12(თორმეტი) სამშენებლო ნებართვა და მშენებლობისათვის მშენებლობის ვადის გაგრძელება.

სამშენებლო სამართალდარღვევის გამო დაჯარიმებული იქნა 8 (რვა) ფიზიკური და ერთი იურიდიული პირი სამშენებლო სამართალდარღვევის გამო, ხოლო სამ ფიზიკურ პირს მიეცათ წერილობითი გაფრთხილება შენობა-ნაგებობის დარღვევისათვის, რათა წარმოედგინათ სათანადო დოკუმენტაცია, რაც შესრულდა. ერთი ფიზიკური პირის მიმართ შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და განსახილველად გადაიგზავნა ქედის მაგისტრატ სასამართლოში. მშენებლობის ნებართვის საფუძველზე აშენებული 6(ექვსი) ობიექტი მიღებულია ექსპლოატაციაში. გაცემულ იქნა 3 მითითება, 8 შემოწმების აქტი, 8 უწყება და გამოტანილ იქნა 9 დადგენილება სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტებზე.

2023 წლის 24 თებერვალს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით (განკარგულება:გ-95, 95230552) დამტკიცებული იქნა ქედის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა 2023-2027 წლებისათვის.

ჩატარდა კეთილმოწყობითი და დასუთავების სამუშაოები შპს ქედის „კომუნალურსერვის-ის სამსახურთან ერთად სისტემატიურად მიმდინარეობს პარკების, სკვერების ქუჩების, საფეხმავლო კიბეებისა და ტროტუარების დაგვა-დასუფთავება. ხდება ნაგვისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა დაბა ქედისა და მუნიციპალიტეტის სოფლებიდან. იანვარ- თებერვლის თვეში თოვლის საფარისაგან იწმინდებოდა დაბის ქუჩები, საფეხმავლო კიბეები და ხორციელდებოდა მრავალწლიანი ნარგავების თოვლის საფარისგან გაწმენდა. გაიმართა დასუფთავების აქციები 22 მარტს წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო, 21 აპრილს „დედამიწის დღესთან“ და 6 ივნისს „ გარემოს დაცვის საერთაშორისო დღესთან“ დაკავშირებით მუნიციპალიტეტის

სამოქმედო ტერიტორიაზე. კერძოდ, დაბა ქედის, ზვარის დანდალოს, დოლოგნის, მახუნცეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში. სისტემატიურად ხორციელდება დანაგვიანებული უბნებისა და მდინარის სანაპიროების, ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრების დასუფთავება, სადაც მონაწილეობდნენ საჯარო მოხელეები, შპს „ააიპ-ს“ მუშაკები მოსახლეობასთან ერთად. აპრილის თვეში დედამიწის დღესთან დაკავშირებით დაირგო ხე- მცენარეები დაბა ქედაში გამარჯვების პარკში, ხოლო მაისის თვეში კოსტავას ქუჩაზე დაირგო ყვავილოვანი მცენარეები შპს „კომუნალურსერვისი“-ს მიერ.

სისტემატიურად ხორციელდება დაზიანებული გარე განათების ქსელებისა და სანათი წერტილების აღდგენა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

შპს „წყალკანალი“-ს მიერ ტარდება საკანალიზაციო - სანიღვრე არხების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა აღმაშენებლის, აბუსერიძის, აწჳესის დასახლების, რუსთაველის, სახოკიასა, ყ. შერვაშიძის ქუჩებზე. ხორციელდება სეპტიკების დაქლორვა და მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავება სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა ქედა-შევაბურის, ზენდიდის, ორცვის სასმელი წყლის მაგისტრალებს. დაბა ქედაში სისტემატიურად ხდება არსებული სანიაღვრე არხების გაწმენდა

აპრილის თვეში აჭარის არ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ 2023 წლის გეგმიური საკითხის „ნარჩენების მართვის მდგომარეობის შესწავლის ფარგლებში განხორციელდა მონიტორინგი ქედის მუნიციპალიტეტში, მონიტორინგის დროს გამოვლენილი უნებართვო სამშენებლო ნარჩენები (პირველი მაისი, ცხემნა, კოკოტაური, მოსიაშვილი), რომელიც მოსახლეობისა და შპს „კომუნალურსერვისი“-ს თანამშრომლებთან ერთად დასუფთავდა.

პერიოდულად განხორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახური, ამორტიზირებულ ობიექტებზე ღონისძიებების გატარებას. შესწავლილ იქნა სოფელ ოქტომბერში ყოფილი საყოფაცხოვრებო შენობა-ნაგებობის (სამკერვალო) , მდგრადობა. შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ შენობა-ნაგებობებზე ავარიულ მდგომარეობაშია და ექვემდებარება დემონტაჟს. აღებულ იქნა დაბა ქედაში რუსთაველისა და ღვინის ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაიშალა და გამონთავისუფლდა თვითნებურად დაკავებული საბოსტნე ტერიტორიები, უსახური საშენებლები, ნაგებობები.

სისტემატიურად ვმონაწილეობ მშენებარე მშენებლობების პროცესში, სამშენებლო ობიექტების დროულად ექსპლოატაციაში მიღებისა და სხვადასხვა კომისიების მუშაობაში.

ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის საშუალებით კანონმდებლობით დადგენილ ვადაში დროულად ვახდენდი რეაგირებას შემოსულ განცხადებებსა და წერილებზე პასუხების გაცემას.

ზედამხედველობის სამსახური საგანგებო მსჯელობის საგნად გახდის, როგორც სახელმწიფო სექტორის, ასევე კერძო მოსახლეობის მხრიდან საზედამხედველო კანონმდებლობით გათვალისწინებულ კანონდარღვევათა ყველა ფაქტს, მიიღებს კომპენტენციის ფარგლებში გასატარებელ ღონისძიებებს.

2023 წლის (01.01.2023- 31.12.2023) პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

2023 წლის საანგარიშო პერიოდში ძირითად მიმართულებად განვსაზღვრეთ კულტურული, საგანმანათლებლო, ტურიზმისა და კულტურული ძეგლების დაცვის ხელშეწყობი ღონისძიებების ორგანიზება. ღონისძიებები დავგეგმეთ სხვადასხვა ფორმატით, მიზნობრივ ჯგუფებზე გათვლილი სხვა შემეცნებისა და გართობის კომპონენტის მქონე მრავალფეროვანი აქტივობებით, მათ შორის როგორც ღია ისე დისტანციურ ფორმატში.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტის კულტურის განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამით - (კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა) გათვალისწინებულ ღონისძიებებში ჩართული იყვნენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, შშმ პირები, მასწავლებლები, მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა სტატუსისა და ასაკის ბენეფიციარები. ღონისძიებების მიზანი იყო კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, ეროვნული დღესასწაულების პოპულარიზაცია, ცნობიერებისა და მოტივაციის ამაღლება, მოსწავლეების სწავლით დაინტერესება, მათი წახალისება, საქართველოს სხვადასხვა კუთხის გაცნობა, შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული შეხედულებების მსხვრევა.

2023 წლის განმავლობაში კულტურული ღონისძიებების ქვეპროგრამით განხორციელებულია შემდეგი ღონისძიებები:

დედისა და ქალთა საერთაშორისო დღე

ჩატარების თარიღი: 8 მარტი 2023 წელი.

ჩატარების ადგილი: დაბა ქედა, ააიპ ქედის ქედის კულტურის ცენტრი.

ღონისძიების მიზანი: ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ღვაწლმოსილი, უხუცესი და მრავალშვილიანი დედებისათვის 3-8 მარტის მილოცვა, მათი დაფასება, ღვაწლის წარმოჩენა.

გაიმართა ამ დღისადმი მიძღვნილი კონცერტი. ღონისძიების ფარგლებში შერჩეულ 76 ბენეფიციარს გადაეცა 50 ლარის ღირებულების სასაჩუქრე ვაუჩერი. ასევე ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტში მცხოვრები უხუცესი ქალბატონის მონახულება, ტკბილეულისა და ფასიანი საჩუქრების გადაცემა.

დაიხარჯა 5099 ლარი და 99 თეთრი;

8 აგვისტოს დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება

ჩატარების თარიღი: 08 აგვისტო 2023 წელი.

ჩატარების ადგილი: ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი მერისი.

ღონისძიების მიზანი: ომში დაღუპულ გმირთა სახელის უკვდავყოფა.

ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაღუპული გმირის საფლავის მონახულება სოფელ მერისში. გმირის საფლავის ყვავილებითა და გვირგვინით შემკობა.

დაიხარჯა 201 ლარი და 99 თეთრი.

ინტერმუნიციპალური ღონისძიებები:

სიმღერისა და ცეკვის ზავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადა

ჩატარების თარიღი: პირველი ეტაპი, დაბა ქედა, ააიპ ქედის კულტურის ცენტრი, 3 მაისი 2023 წელი;

მეორე ეტაპი, ქ. ბათუმი სსიპ - ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი, 8 მაისი - 2023 წელი; მესამე ეტაპი, ქ. ბათუმი სსიპ - ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი, 2 ივნისი - 2023 წელი.

ღონისძიების მიზანი: ტრადიციული ხელოვნების, ქართული ხალხური სიმღერის, ცეკვის წარმოჩენა და პოპულარიზაცია ახალგაზრდა თაობაში. ნიჭიერი შემსრულებლების გამოვლენა და მონაწილეთა შორის შემოქმედებითი სიახლეების გაზიარება, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია.

ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა ოლიმპიადაში მონაწილე ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ფოლკლორული ანსამბლების ზავშვთა ტრანსპორტირება და ოლიმპიადის პირველი ტურის ორგანიზაციული საკითხების ფინანსური უზრუნველყოფა.

დაიხარჯა 3597 ლარი და 00 თეთრი;

ინტერმუნიციპალური ლიტერატურული კონკურსის „პეგასი“

ჩატარების თარიღი: ღონისძიება გაიმართა ეტაპობრივად 2023 წლის 6,8,10,13 ოქტომბერს.

ღონისძიების მიზანი: დამწყები შემოქმედების - გამოვლენა, მათ შესახებ ცნობადობის გაზრდა, მოტივაციის ამაღლება, შემოქმედებითი უნარების განვითარების ხელშეწყობა. ღონისძიების ფარგლებში - ლიტერატურული კონკურსის „პეგასი“ 2023 წლის ტიტული ქედის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა ჟანა ანანიძემ მოიპოვა, ნომინაციაში „პეგასის“ აღმოჩენა მადონა არძენაძემ, ხოლო ნომინაცია თავისუფალი სტილი მარი ტაკიძემ მოიპოვა.

დაიხარჯა 2398 ლარი და 00 თეთრი;

კულტურულ - საგანმანათლებლო ღონისძიებები:

საქართველოს ეროვნული ინტელექტ ჩემპიონატის „ეტალონის“ დისტანციურ რეჟიმში ჩატარება ქედის მუნიციპალიტეტისთვის და მასში ქედის მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეების მონაწილეობა.

ღონისძიება ჩატარდა 2023 წლის 21-23 ივნისის დისტანციურ რეჟიმში 2 ეტაპად. კონკურსის პირველი და მეორე ეტაპები ტესტირების სპეციალური პორტალის საშუალებით გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეებმა. მეორე ეტაპში მონაწილეობას დებულობდნენ ის მოსწავლეები, რომლებმაც წარმატებით გადალახეს კონკურსის პირველი ეტაპი „ტესტირება“. მეორე ტურში პირველ ადგილზე გავიდა მათე გათენაძე (ზვარეს საჯარო სკოლა, X კლასი), მეორე ადგილზე ანრი მამუქაძე (ცხმორისის საჯარო სკოლა, XI კლასი), მესამე ადგილზე საბა დიასამიძე (ქვედა მახუნცეთის საჯარო სკოლა, VIII კლასი).

დაიხარჯა 3980 ლარი;

ეტალონის მეორე ტურში გამარჯვებული მოსწავლეებზე ფულადი ჯილდოს ჩარიცხვა. დაიხარჯა 1000 ლარი.

„ანიმაციური ფილმების ფესტივალი „ექო თოფუხის“ ფარგლებში ანიმაციური ფილმების ჩვენების უფლების შესყიდვა“. ღონისძიება ჩატარდა ქედის მუნიციპალიტეტის სოფ. გეგელიძეებში, მოეწყო ვორქშოპი და ფილმების ჩვენება. **დაიხარჯა 2200 ლარი.**

„ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია“ ფარგლებში ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ერთჯერადი ფულადი ჯილდოთი წახალისება. ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის - (კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა) ფარგლებში გათვალისწინებული იყო კულტურულ საგანმანათლებლო ღონისძიებების ხელშეწყობა, მათ შორის „ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის“ ფარგლებში განსახორციელებელი სხვადასხვა აქტივობა, კერძოდ გარემოს დაცვით კონკურსში (საკონკურსო თემას წარმოადგენდა - მდგრადი განვითარების სკოლა (SDGs)). ქედის მუნიციპალიტეტიდან ნახევარფინანსში გავიდა სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ წონიარისის საჯარო სკოლა, (ეკოკლუბის სახელი: GREEN SCHOOL) და სსიპ - თემურ ზაქარაძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ხარაულის საჯარო სკოლა, (ეკოკლუბის სახელი: Green Group).

აღნიშნულთან დაკავშირებით სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ წონიარისის საჯარო სკოლას და სსიპ - თემურ ზაქარაძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ხარაულის საჯარო სკოლას მიღწეული წარმატების წახალისების მიზნით გადაეცათ ერთჯერადი ფულადი ჯილდო 1000-1000 ლარი.

დაიხარჯა: 2000 ლარი.

ადგილობრივი და საერთაშორისო დღეების აღნიშვნა:

აუტიზმის საერთაშორისო დღე

ჩატარების თარიღი: 2 აპრილი 2023 წელი.

ჩატარების ადგილი: წონიარისის ადმინისტრაციული ერთეული.

ღონისძიების მიზანი: გაიზარდოს საზოგადოების ცნობიერების დონე აუტიზმთან დაკავშირებით. ასევე ხელი შეუწყოს აუტიზმის მქონე ადამიანების უფლებების დაცვას.

ტრენინგი ჩატარდება არანაკლებ 25 მსმენელისათვის თემაზე: „აუტისტური სპექტრის გამოვლენა და ქცევის პოზიტიური მართვა“. ტრენინგის ხანგრძლივობა არანაკლებ 45 წუთი. მოეწყობა ალაფურშეტი.

დაიხარჯა 844 ლარი და 98 თეთრი;

დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე

ჩატარების თარიღი: 21 მარტი 2023 წელი.

ჩატარების ადგილი: ცხმორისის ადმინისტრაციული ერთეული.

ღონისძიების მიზანი: დაუნის სინდრომთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების მსხვრევა. ტრენინგი ჩატარდება არანაკლებ 25 მსმენელისათვის თემაზე: „დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების თანასწორუფლებიანობის გამყარება“. ტრენინგის ხანგრძლივობა არანაკლებ 45 წუთი. მოეწყობა ალაფურშეტი.

დაიხარჯა 981 ლარი და 86 თეთრი;

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული

ჩატარების თარიღი: 16 აპრილი 2023 წელი.

ჩატარების ადგილი: დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა, უფასო კვების სასადილო.

ღონისძიების მიზანი: სააღდგომო სადღესასწაულო გარემოს შექმნა.

ქედის მუნიციპალიტეტში არსებული უფასო კვების სასადილოთი მოსარგებლე 25 ბენეფიციარს გადაეცათ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით სააღდგომო პასკა და ტკბილეულის ფუთა.

დაიხარჯა 1094 ლარი 78 თეთრი;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის დღე

ჩატარების თარიღი: 14 ივნისი 2023 წელი.

ჩატარების ადგილი: დანდალოს ადმინისტრაციული ერთეული.

ღონისძიების მიზანი: მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლება, შშმ პირთა უფლებების დაცვა, შშმ პირთა მიმართ მართებული მიდგომების, ტერმინების, სწორი დამოკიდებულებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური იზოლაციის დაძლევა, საზოგადოებაში მათ მიმართ არსებული ნეგატიური სტერეოტიპების რღვევა და მათი რეალური შესაძლებლობების წარმოჩენა.

ტრენინგი ჩატარდება არანაკლებ 25 მსმენელისათვის თემაზე: „თანაბარი უფლებები, თანაბარი შესაძლებლობები“. ტრენინგის ხანგრძლივობა არანაკლებ 45 წუთი. მოეწყობა ალაფურშეტი.

ამ დღესთან დაკავშირებით ჩატარდა ონლაინ ტრენინგი „თანაბარი უფლებები, თანაბარი შესაძლებლობები“. მსმენელს მიეწოდა ინფორმაცია სწორი ტერმინოლოგიის, დამოკიდებულებისა და ქცევის შესახებ.

დაიხარჯა 844 ლარი და 98 თეთრი;

9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღე

ჩატარების თარიღი: 9 მაისი 2023 წელი.

ჩატარების ადგილი: დაბა ქედა, ყედის შერვაშიძის სახელობის სკვერი, წონიარისის ადმინისტრაციული ერთეული, ცხმორისის ადმინისტრაციული ერთეული.

ღონისძიების მიზანი: სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა ხსოვნა, მათი პატივისცემა, ეროვნული დღესასწაულების აღნიშვნა.

ღონისძიების ფარგლებში ქედის ხანდაზმულთა კლუბის წევრებმა, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებმა გვირგვინითა და ყვავილებით შეამკვენ მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ გმირთა მემორიალები და პატივი მიაგენ მათ ხსოვნას. ჩატარდა მცირე კულტურული აქტივობა.

დაიხარჯა 468 ლარი და 00 თეთრი;

ბაირამი

ჩატარების თარიღი: 21-23 აპრილი 2023 წელი.

ჩატარების ადგილი: ქედის მუნიციპალიტეტი, ცხმორისის, ოქტომბრისა და პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულები;

ღონისძიების მიზანი: ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მუსლიმანური სარწმუნოების მიმდევრებზე დღესასწაულის მილოცვა და შესაბამისი სადღესასწაულო გარემოს შექმნა. ღონისძიების ფარგლებში მუნიციპალიტეტში მოქმედ მეჩეთების მომლოცველებს გადაეცათ ტკბილეულის ფუთები.

დაიხარჯა 1375 ლარი და 94 თეთრი.

ბულინგთან ბრძოლის საერთაშორისო დღე

ჩატარების თარიღი: 4 მაისი 2023 წელი.

ჩატარების ადგილი: მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეული.

ღონისძიების მიზანი: საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება ბულინგთან დაკავშირებით, ასევე ხელი შეუწყოს თანატოლებში ძალადობის ხელშეწყობი პირობების აღმოფხვრას.

ტრენინგი ჩატარდა არანაკლებ 25 მსმენელისათვის თემაზე: „თანაბარი უფლებები, თანაბარი შესაძლებლობები“.

ტრენინგის ხანგრძლივობა არანაკლებ 45 წუთი. მოეწყო ალაფურშეტი.

დაიხარჯა 843 ლარი 70 თეთრი;

დედამიწის საერთაშორისო დღე

ჩატარების თარიღი: 22 აპრილი 2023 წელი.

ღონისძიების მიზანი: ბუნების დაცვა და მოვლა. ახალგაზრდობში ბუნების მოვლის მნიშვნელობაზე ცნობიერების ამაღლება.

ღონისძიების ფარგლებში შეძენილი იქნა 10 ძირი მწვანე ფერის ტუიას ნერგი, რომლებიც დაირგა დაბის ტერიტორიაზე, სადაც ჩართული იყვნენ მუნიციპალიტეტში მცხოვრები სსსმ მოსწავლეები.

დაიხარჯა 499 ლარი და 84 თეთრი;

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

ჩატარების თარიღი: 01 ივნისი 2023 წელი;

ჩატარების ადგილი: დაბა ქედა, ფრიდონ ხალვაშის სახელობის პარკი;

ღონისძიების მიზანი: გავულამაზოთ ბავშვებს ცხოვრება და დავიცვათ ბავშვთა უფლებები;

მოეწყო დეკორატიული კუთხეები, ჩატარდა კონცერტი და სხვადასხვა გასართობი აქტივობები.

ღონისძიების ფარგლებში მოწვეულ იქნა მულტფილმის გმირები, მოეწყო სხვადასხვა გასართობი საბავშვო შოუ, ბავშვებს დაურიგდა უფასოდ ნაყინი.

დაიხარჯა 3738 ლარი და 90 თეთრი;

ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე

ჩატარების თარიღი: 01 ოქტომბერი 2023 წელი

ჩატარების ადგილი: ქედის მუნიციპალიტეტი

ღონისძიების მიზანი: ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ხანდაზმულების დაფასება, მხარდაჭერა. უფროსების მიმართ პატივისცემის გამოხატვა.

ღონისძიების ფარგლებში 46 ხანდაზმულს გადაეცა ფასიანი საჩუქარი.

დაიხარჯა 6072 ლარი და 00 თეთრი.

მასწავლებელთა საერთაშორისო დღე

ჩატარების თარიღი: 05 ოქტომბერი 2023 წელი

ჩატარების ადგილი: ქედის მუნიციპალიტეტი

ღონისძიების მიზანი: მასწავლებელთა მხარდაჭერა, ღვაწლის დაფასება და მადლობის გადახდა საზოგადოებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის.

ჩატარდა კონცერტი და 50 მასწავლებელს გადაეცა ფასიანი საჩუქრები.

დაიხარჯა 6204 ლარი და 00 თეთრი.

ტურიზმის და კულტურული ძეგლების დაცვის ხელშეწყობი ღონისძიებები:

ექსკურსია ქუთაისში

ჩატარების თარიღი: 20 ივნისი 2023 წელი

ჩატარების ადგილი: ქუთაისი (გასვლითი)

ღონისძიებების მიზანი: შიდა ტურიზმის განვითარება, სოფლისა და კულტურული ტურიზმის პოპულარიზაცია და წარმოჩენა, ახალგაზრდების ცხოვრების გააქტიურება. მომავალ თაობაში ჩვენი ქვეყნის კულტურული და ისტორიული ღირებულებების გაცნობა.

დაიხარჯა 1513 ლარი და 60 თეთრი;

ექსკურსია ჩოხატაურში

ჩატარების თარიღი: 26 ივნისი 2023 წელი

ჩატარების ადგილი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი (გასვლითი)

ღონისძიებების მიზანი: შიდა ტურიზმის განვითარება, სოფლისა და კულტურული ტურიზმის პოპულარიზაცია და წარმოჩენა, ახალგაზრდების ცხოვრების გააქტიურება. მომავალ თაობაში ჩვენი ქვეყნის კულტურული და ისტორიული ღირებულებების გაცნობა.

დაიხარჯა 1287 ლარი და 00 თეთრი;

ექსკურსია მახუნცეთის ადმინისტრაციულ ერთეულში

ჩატარების თარიღი: 20 ივლისი 2023 წელი

ჩატარების ადგილი: ქედის მუნიციპალიტეტი

ღონისძიებების მიზანი: შიდა ტურიზმის განვითარება, ტურიზმის პოპულარიზაცია და წარმოჩენა, ახალგაზრდების ცხოვრების გააქტიურება. მომავალ თაობაში ჩვენი ქვეყნის კულტურული და ისტორიული ღირებულებების გაცნობა.

დაიხარჯა 4193 ლარი და 20 თეთრი.

ქედის ხანდაზმულთა კლუბი „ღირსეული სიბერე“ ხელშეწყობი ღონისძიებები:

ქედის ხანდაზმულთა კლუბი „ღირსეული სიბერე“ წევრი ქალბატონებისათვის დედისა და ქალთა საერთაშორისო დღის აღნიშვნა

ჩატარების თარიღი: 3 მარტი 2023 წელი

ჩატარების ადგილი: დაბა ქედა

ღონისძიებების მიზანი: ღონისძიების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ხანდაზმულების ცხოვრების გააქტიურება, მათი ღვაწლის დაფასება. კლუბის წევრ ქალბატონებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები მუყაოს სასაჩუქრე ჩანთით, მოეწყო ალაფურშეტი.

დაიხარჯა 1265 ლარი და 00 თეთრი;

ქედის ხანდაზმულთა კლუბი „ღირსეული სიბერე“ წევრთა ექსკურსია მცხეთაში

ჩატარების თარიღი: 12-13 აგვისტო 2023 წელი (გასვლითი)

ჩატარების ადგილი: მცხეთის მუნიციპალიტეტი

ღონისძიების მიზანი: ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ხანდაზმულებისათვის ცხოვრების გამრავალფეროვნება და კულტურულ ცხოვრებაში უფრო აქტიურად ჩართვა, მათი ღვაწლის დაფასება. ხანდაზმულები ეცნობიან ჩვენი ქვეყნის კულტურულ და ისტორიულ ღირებულებებს. ერთვებიან სხვადასხვა ღონისძიებებში, სადაც ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებებსა და შეხედულებებს.

ღონისძიების ფარგლებში კლუბის წევრებმა დაათვალიერეს სვეტიცხოველი, ჯვრის მონასტერი, შიო მღვიმის მონასტერი, მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი და სხვა ღირსშესანიშნავი ადგილები. განხორციელდა კლუბის წევრების ტრანსპორტირება, ღამის თევზა, კვებითი მომსახურება.

დაიხარჯა 5005 ლარი და 00 თეთრი;

ქედის ხანდაზმულთა კლუბი „ღირსეული სიბერე“ წევრთა ექსკურსია ჭიათურაში

ჩატარების თარიღი: 13-14 ივლისი 2023 წელი (გასვლითი)

ჩატარების ადგილი: ჭიათურის მუნიციპალიტეტი

ღონისძიების მიზანი: ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ხანდაზმულებისათვის ცხოვრების გამრავალფეროვნება და კულტურულ ცხოვრებაში უფრო აქტიურად ჩართვა, მათი ღვაწლის დაფასება. ხანდაზმულები ეცნობიან ჩვენი ქვეყნის კულტურულ და ისტორიულ ღირებულებებს. ერთგებიან სხვადასხვა ღონისძიებებში, სადაც ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებებსა და შეხედულებებს.

ღონისძიების ფარგლებში კლუბის წევრებმა დაათვალიერეს ჭიათურის კაცხის სვეტი, კაცხის ციხე, კაცხის ტაძარი, ურბნისის მონასტერიმ ჭიათურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და სხვა ღირსშესანიშნავი ადგილები. განხორციელდა კლუბის წევრების ტრანსპორტირება, ღამის თევზა, კვებითი მომსახურება.

დაიხარჯა 3135 ლარი და 00 თეთრი;

ქედის ხანდაზმულთა კლუბი „ღირსეული სიბერე“ წევრთა ექსკურსია ჩოხატაურში

ჩატარების თარიღი: 16 ივნისი 2023 წელი (გასვლითი)

ჩატარების ადგილი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი

ღონისძიების მიზანი: ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ხანდაზმულებისათვის ცხოვრების გამრავალფეროვნება და კულტურულ ცხოვრებაში უფრო აქტიურად ჩართვა, მათი ღვაწლის დაფასება. ხანდაზმულები ეცნობიან ჩვენი ქვეყნის კულტურულ და ისტორიულ ღირებულებებს. ერთგებიან სხვადასხვა ღონისძიებებში, სადაც ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებებსა და შეხედულებებს.

ღონისძიების ფარგლებში კლუბის წევრებმა დაათვალიერეს ერკეთის მონასტერი, უდაბნოს მონასტერი, თამარის ციხე, ნოდარ დუმბაძის სახლმუზეუმი, ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და სხვა ღირსშესანიშნავი ადგილები. განხორციელდა კლუბის წევრების ტრანსპორტირება, ღამის თევზა, კვებითი მომსახურება.

დაიხარჯა 1507 ლარი და 00 თეთრი;

ქედის ხანდაზმულთა კლუბი „ღირსეული სიბერე“ წევრებისათვის საქართველოს დამოუკიდებლობის დღის მილოცვა

ჩატარების თარიღი: 26 მაისი 2023 წელი.

ჩატარების ადგილი: დაბა ქედა, ყედის შერვაშიძის სახელობის სკვერი;

ღონისძიების მიზანი: ეროვნული დღესასწაულების აღნიშვნა და გმირების უკვდავყოფა.

ხანდაზმულთა კლუბის წევრებმა ყვავილებით შეამკვენ მემორიალი და პატივი მიაგნეს გმირებს. წევრები აქტიურად ჩაეთო ამ დღისადმი მიძღვნილ სხვადასხვა ღონისძიებებში.

დაიხარჯა 550 ლარი და 00 თეთრი;

ქედის ხანდაზმულთა კლუბი „ღირსეული სიბერე“ წევრებისათვის ხანდაზმულთა საერთაშორისო დღის აღნიშვნა

ჩატარების თარიღი: 01 ოქტომბერი 2023 წელი.

ჩატარების ადგილი: დაბა ქედა

ღონისძიების მიზანი: ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ხანდაზმულებისათვის ცხოვრების გამრავალფეროვნება.

ღონისძიებების ფარგლებში კლუბის წევრებს (20 წევრი) გადაეცათ ფასიანი საჩუქრები.

დაიხარჯა 1575 ლარი და 20 თეთრი;

ქედის ხანდაზმულთა კლუბი „ღირსეული სიბერე“ წევრების მიერ 9 აპრილის აღნიშვნა

ჩატარების თარიღი: 9 აპრილი 2023 წელი.

ჩატარების ადგილი: დაბა ქედა, 9 აპრილის სკვერი.

ღონისძიების მიზანი: სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა სხოვნა, მათი პატივისცემა, ეროვნული დღესასწაულების აღნიშვნა.

ღონისძიების ფარგლებში ხანდაზმულთა კლუბის წევრებმა მოინახულენ და ტიტებით შეამკვენ 9 აპრილს დაღუპულ გმირთა მემორიალი და პატივი მიაგნეს დაღუპულთა ხსოვნას.

დაიხარჯა 70 ლარი და 40 თეთრი;

ქედის ხანდაზმულთა კლუბი „ღირსეული სიბერე“ წევრების მიერ 9 მაისის აღნიშვნა

ჩატარების თარიღი: 9 მაისი 2023 წელი.

ჩატარების ადგილი: დაბა ქედა ყედის შერვაშიძის სახელობის სკვერი;

ლონისძიების მიზანი: სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა ხსოვნა, მათი პატივისცემა, ეროვნული დღესასწაულების აღნიშვნა.

ხანდაზმულთა კლუბის წევრების ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში. ღონისძიების ფარგლებში ქედის ხანდაზმულთა კლუბის წევრებმა ყვავილებით შეამკენ მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ გმირთა მემორიალი და პატივი მიაგენ მათ ხსოვნას.

დაიხარჯა: 70,40 ლარი.

ქედის ხანდაზმულთა კლუბი „ღირსეული სიბერე“ წევრების მიერ განვლილი წლის შედეგების შეჯამება და შობა ახალი წლის საზეიმოდ მილოცვა

ჩატარების თარიღი: 20 დეკემბერი 2023 წელი (მიმდინარე)

ჩატარების ადგილი: დაბა ქედა

ლონისძიების მიზანი: ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ხანდაზმულებისათვის ცხოვრების გამრავალფეროვნება. გათვალისწინებულია 1518.00 ლარი.

სახალხო ზეიმი „შემოდგომა ქედაში“

ჩატარების თარიღი: 19 ნოემბერი 2023 წელი.

ჩატარების ადგილი: დაბა ქედა, ფრიდონ ხალვაშის სახელობის ქედის ცენტრალური პარკი.

ლონისძიების მიზანი: მუნიციპალიტეტში არსებული კულტურის, ეთნოგრაფიის, ადგილობრივი ტრადიციის პოპულარიზაცია, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ვიზიტორთა მოზიდვა, ქედაში მოწეული პროდუქციის წარმოჩენა, აგრო ტურიზმის განვითარება და ა.შ.

